**განმარტებითი ბარათი**

**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 იანვრის №05 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის ძეგლთა დაცვის 2022 წლის პროგრამაში.

ვინაიდან თელავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არ იძლევა შესაძლებლობას, რომ მოხდეს დამატებითი თანხების მობილიზება, შეიქმნა საჭიროება, რომ ძეგლთა დაცვის პროგრამაში გათვალისწინებული თანხები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

გაუქმდეს: „ადამაანთ ციხის " სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა თანხით - 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი, „ქალაქ თელავში არსებული ისტორიული კარები და კარიბჭეების" საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა თანხით - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი, „ფსიტის ციხე და მიმდებარე ტერიტორიის" კვლევითი, სადაზვერვო - არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა თანხით - 30 500 (ოცდაათი ათას ხუთასი) ლარი, „პატარა გორი"-ს სადაზვერვო-არქეოლოგიური სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვა თანხით - 25 500 (ოცდახუთი ათას ხუთასი) ლარი, სულ ღირებულებით 111 000 (ას თერთმეტი ათასი) ლარი.

გამოთავისუფლებული თანხით განხორციელდეს ახალი ღონისძიება „დაბახნების წყაროს რეაბილიტაცია და კეთილმოწყობის სამუშაოები", რომლის ღირებულება განისაზღვროს 109 000 (ას ცხრა ათასი) ლარით, ხოლო დარჩენილი 2 000 (ორი ათასი) ლარით გაიზარდოს „კისისხევის კლდეში ნაკვეთი გამოქვაბულების" საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და სამუშაოების შესყიდვის ღირებულება.